# ცნობის ფურცელი

№ 2434 | ხუთშაბათი, 10 მარტი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2434

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი კანცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ...ნქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთის ნომერი ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით 5 კაპ.



**ქ ა რ თ უ ლ ი  თ ე ა ტ რ ი.** ტელ. № 617.

ხუთშაბათს, 11 მარტს, 1904 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**ხალხის მტერი ანუ ექიმი შტოკმანი**

დრამა 5 მოქ. ჰ. იბსენისა, თარგ. ივ. პოლუმორდვინოვისა.

მონაწილეობას იღებს მთელი დასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ამხანაგობის გამგე **ვალ. გუნია.**

მზადდება წარმოსადგენად შაბათისათვის „ღალატი“ დაკლებულის ფასებით.

**სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.**

ანტრეპრიზა **მისის უდიდებულესობის** სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

შაბათს, 10 მარტს, წარმოდგენილი იქნება

**ე ვ გ ე ნ ი  ო ნ ე გ ი ნ ი**

ოპერა 3 მოქმ. ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი შულგინა, იანსი, ლელინა; ბ-ნნი: დავიდოვი, ილიუშჩენკო, ბრაგინი, ბუხტოიაროვი, ფედოროვი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ფასები აწეულია. კაპელმეისტერი ა. ასლანოვი.

ანონსი: 11 მარტს „დუბროვსკი“; 12 მარტს —„ლაკმე“; 13 მარტს —„სამსონ და დალილა“.

**ძმ. ნიკიტინების ცირკში**



ოთხშაბათს, 10 მარტს, გაიმართება საინტერესო

**ჭ ი დ ა ო ბ ა**

კავკასიელ მოჭიდავის **ც ე რ ა ძ ი ს ა** და ცნობილ ფრანგ მოჭიდავის ვილიამ **რ ო ბ ი ნ ე ს ი.** ვინც გაიმარჯვებს, 25 მან. ჯილდო მიეცემა. ჭიდაობა მოხდება მეორე მოქმედების შემდეგ. დაწვრილებით იხილე აფიშებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. (1—1)

**ტ ფ ი ლ ი ს ი ს**

**კერძო სამკურნალო**

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

**.. ტ. მულინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათამდე.

**ა. გ. მაღალაშვილი.**—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

**გ. დ. ლამბაშიძე.**—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12.

**..რ. გ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

**გ. მ. მანსვეტოვი.**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

**..ძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**..დ. მ. მონინი.**—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**გ. ჭიჭინაძე**—კბილისა, 8—9 საათამდე.

**ნ. ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**გ. გ. სოგოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.**— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (...წლ.) **ტელეფონი № 274**

**ე ქ ი მ ი**

**ა. ნ. დიასამიძე**

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოთ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—38)

**ე ქ ი მ ი**

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

**მ კ უ რ ნ ა ლ ი**

**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

**ექიმი ს. ი. ბეგიშვილი**

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

**ექიმი გ. დ. ნასარიძე**

მიიღებს შინაგ... ...ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლიანტიპ არმაკლიძისა. (0—ნ.—64)

**კბილის ექიმი**

**ი. პ. ახალშენიშვილი**

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

**კბილის ექიმი**

**ნ. ტყეშელაშვილი**

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე; სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

**ე ქ ი მ ი**

**ბესარიონ ა. პოპოვი**

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. ...რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—ნ.—1)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმი

**მ. ი. ბ ე გ ი შ ვ ი ლ ი ს ა**

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 ს. და 1—3 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთიშვილისა.


# რუსეთ-იაპონიის ომი

## დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 მარტი

**თეირანი.** პარაკლისის შემდეგ გაიხსნა სახელოსნო საცვლის მოსამზადებლად ომში მყოფ რუსის ჯარისთვის. სახელოსნო გაიმართა კაპიტანის კრიმსკის მეუღლის მეცადინეობით. გახსნას დაესწრნენ ელჩი, რუსეთის მისსია, ყაზახთა ბრიგადის რუსის აფიცრები და რუსეთის ახალშენის წევრნი.

**ტოკიო** („რეიტ. სააგ.“). სეფე-სიტყვის დასასრულ იმპერატორმა თანაგრძნობა გამოუცხადა ჯარს, რომელმაც ამ გაჭირვებისა და სიძნელის დროს დიდი ერთგულება და სიმამაცე გამოიჩინაო.

**ნიუ-ჩუანი.** აქ მოვიდა ტიანძინში მყოფი გერმანიის კონსული, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, მოვედი იმის გასაგებად, თუ რისგან წარმოსდგა ის აშაშფოთებელი ხმები, ვითომ აქ მცხოვრებ გერმანიის ქვეშევრდომთ განსაცდელი მოელოდესო.

**სეული.** გაიქცა 400 კაცი იმ 2,000 კორეიელ ჯარის კაციდან, რომელნიც ჩრდილოეთისაკენ მიდიოდნენ წესიერების დასაცველად.

**ბერლინი** (სპეციალური). კობედან იტყობინებიან, რომ იაპონიის ჯარში ძალიან გავრცელებულია სახადი. იაპონელები ჩრდილოეთ კორეიაში თავს უყრიან ჯარს დიდის ბრძოლისათვისაო.

**ნიუ-ჩუანი.** იაპონიის 4 ჯავშნიანი გემი, სამი კრეისერი და ორი ნაღმიანი გემი მდინარე ლიას (ლიაო?) შესავალში სდგას. იაპონელებმა გადმოსხეს რამდენიმე რაზმი ადგილების დასაზვერავად. ეს რაზმები დაზვერის შემდეგ უკანვე დაბრუნდნენ.

**ჩიფუ.** ადმირალ ცლას უფროსობით აქ მოვიდა ესკადრა, რომელიც კრეისერ „ხაი“-სა, „ხაიჩენ“-ისა, „ხაიტიან“-ისა და „ხაიჯუ“-საგან შესდგება. ხმა დადის, რომ ეს ესკადრა ნიუჩაინს წავა, როგორც კი მდ. ლიას ყინულისაგან განთავისუფლდებაო.

**ბერლინი.** კობედან იტყობინებიან, რომ რუსეთისა და იაპონიის მოწინავე რაზმებს შორის ბევრი შეტაკება ხდება; იჩუსთან ტყვედ წაიყვანეს 6 აფიცერი და 2 მოქალაქე და ირკუტსკში გაგზავნესო. როგორც ლონდონსა და პორტ-არტურიდან რუსების მიერ გამოგზავნილ ცნობებიდანა სჩანს, 26 და 27 თებერვალს მომხდარ ბრძოლის დროს იაპონიის ჯავშნიან გემს „მიკაზა“-ს ათი ყუმბარა მოხვდა და მძიმედ დაზიანდა.

**მოსკოვი.** იტყობინებიან, რომ, წინაამდეგ მოლოდინისა, შორეულ-აღმოსავლეთში ვაჭრობის საქმე კარგად მიდის. მანჯურიასა და პრიამურის მხარეში საქონლის სიმცირეა. ხარბინში თანდათან იზრდება მოთხოვნილება ჯარისათვის საჭირო საქონლისა. ხე-ტყე ძვირდება. ათასი აგური 13 მანეთად ღირს. დაზღვევის შეწყვეტისა გამო პრიამურის მხარისათვის ამერიკიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღს ველარ იღებენ.

**ჰააგა.** სამედიატორო სასამართლოს ადმინისტრატიული საბჭო იაპონიის პროტესტს მურავიევის სიტყვის წინააღმდეგ არ განიხილავს, რადგან ჰფიქრობენ, რომ საკითხი თვით ამ პროტესტის განცხადებით უკვე დასრულდა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

9 მარტი

**პეტერბურგი.** პარიზიდან მოვიდნენ გენერალი სილვესტრი, მაიორი სილმი და კაპიტანი ბუსსე, რომელნიც დანიშნულნი არიან ჩვენს შორეული აღმოსავლეთის ჯარში.

წითელის ჯვრის საზოგადოებამ სთხოვა საფრანგეთის მთავრობას, აცნობოს იაპონიას, რომ გემი „მონგოლია“ დანიშნულია სასანიტარო სამსახურისათვის და თან ყოველთვის წითელის ჯვრის დროშა ექნებაო.

გენერალ-მაიორის ჟილინსკის დეპეშა, 7 მარტს გამოგზავნილი: ჯარი მხნედ არის, ავად არავინ გამხდარა. როგორც საზღვარზე მდგომი სადარაჯო რაზმი გვატყობინებს, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მშვიდობიანობაა. სადგურ უძიმის მახლობლად შტაბ-როტმისტრმა აქსენოვმა 70 ცხენოსანით დაამარცხა ხუნხუზთა ბრბო, რომელიც 100 კაცისაგან შესდგებოდა.

მართლდება ის ცნობა, რომ ანჩუ და პენიანი მტრის ქვეითა ჯარმა და არტილერიამ დაიჭირაო. ანჩუ-პენიანისაკენ დიდ-ძალი ჯარი და სურსათი მიდის. ამ ცოტა ხანში ცინამპოში 13 ტრანსპორტი გადავიდა.

გასცეზიაის ნაპირზე, ცინჩაუფის პირდაპირ, იაპონელები ჯარის გადაყვანას არ ემზადებიან. საფუძველს მოკლებულია უცხოელ გაზეთების ცნობები, ვითომ იაპონელები გადასულიყვნენ სხვა-და-სხვა ადგილას.

**პარიზი.** რუსეთის შუამდგომლობით დელკასემ აცნობა ტოკიოში მყოფს საფრანგეთის ელჩს რუსეთის პროტესტი 26 თებერვალს იაპონიის ფლოტის მიერ სანშანდაოსთვის ყუმბარების დაშენის შესახებ. რუსეთი აღნიშნავს, რომ იაპონიამ დაარღვია საერთაშორისო კანონი, სახელდობრ ჰააგის კონვენციის მე-25 მუხლი, რომელზედაც იაპონიასაც უწერია ხელიო. ელჩმა ამაზე ადრე გადასცა იაპონიას რუსეთის პროტესტი თევზის საჭერ გემების დატყვევების შესახებ.

**ვაშინგტონი.** იაპონიის ელჩმა აცნობა გეის, რომ 50 იაპონელი ციმბირში ომის გამო დიდ გასაჭირშია ჩავარდნილიო. გეიმ დეპეშით დაავალა პეტერბურგში მყოფ ამერიკის ელჩს, შეეკითხოს რუსეთის მთავრობას, სურს თუ არა მთავრობას დაეხმაროს ციმბირში მცხოვრებ იაპონელებს და სამშობლოში დაბრუნება გაუადვილოს.

**ტოკიო.** როგორც „ცენტრალ ნიუს“-ი იუწყება, მთავრობა და სხვა-და-სხვა პარტიები შეთანხმდნენ საფინანსო საკითხების თაობაზე. მთავრობამ უარი სთქვა მარილის მონოპოლიისა და აბრეშუმზე დიდ ბაჟების შემოღებაზე. საადგილ-მამულო გადასახადი შემცირებულ იქმნა. თამბაქოს მონოპოლია დარჩა.

პარლამენტი ფლოტს მადლობას გამოუცხადებს.

სეულიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ, როდესაც კორეის იმპერატორმა მარკიზ იტო მეორე აუდიენციაზე მიიღო, გადაწყდა: იაპონია კორეიას ასესხებს 5 მილიონ იენს; კორეია კი სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვევს იაპონელ მოთათბირეს.

**ბერლინი.** საეჭვოა ლონდონიდან მიღებული ცნობა, ვითომ ჩიინ-ჩიონგთან ომი უნდა მოხდეს, რადგან 40,000 იაპონელი არ დაეცემა რუსეთის პოზიციას, სადაც ამდენივე ჯარია.

## ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მარტი.

**ირკუტსკი.** გენერალ-ადიუტანტის კუროპაკინის მატარებელი აქ მოვიდა ღამის 2 საათზე. რადგან დაგვიანებული იყო, სადგურზე ხალხი არ მიგებებია. დილის 8 საათზე მატარებელი სადგურ ბაიკალში წავიდა.

**ტოკიო.** („რეიტ. სააგ.“). საპარლამენტო პარტიების მეთაურებს მოლაპარაკება ჰქონდათ; საბოლოოდ გამოირკვა, რომ მთავრობა აღარ ეცდება მარილის მონოპოლიის შემოღებასა და აბრეშუმზე ბაჟების მომატებას, წარადგენს წინადადებას საადგილ-მამულო გადასახადების მომატების შესახებ. კაბინეტის წევრებს განუწყვეტელი მოლაპარაკება აქვთ პარტიების მეთაურებთან. ისინი ირკვევენ აგრეთვე ხალხის წარმომადგენლების აზრსა და შეხედულებას იმაზე, თუ რამდენად ეხება სამხედრო გადასახადები კერძო ინტერესებს. თან და თან ის აზრი ვრცელდება, რომ მთავრობა არას დროს არ ცდილა ომისათვის საჭირო სახსარი ახალის გადასახადების შემოღებით მოეპოვებინა. წინააღმდეგ ამისა, იმას უნდა გამოეცა ასიგნაციები, რომლის გადახდა რამდენიმე წელზე უნდა ყოფილიყო განაწილებული. დეპუტატთა პალატაში ხვალ განიხილეენ წინადადებას, გამოუცხადონ ფლოტს მადლობა მთელი ერის სახელით იმ მამაცობისათვის, რომელიც აქამდე გამოიჩინა.

**სეული** („რეიტ. სააგ.“). მარკიზ იტოს ებოძა ორდენი „ცვეტკა სლივი“. ასეთი ნიშანი მხოლოდ სამეფო პირთ ეძლევათ. იაპონიის ელჩს გაიაშის ებოძა პირველი ხარისხის ორდენი კორეის ეროვნულ დროშისა. მარშალი იტო აუდენციაზე ბეჯითად ურჩევდა კორეის იმპერატორს რეფორმების შემოღება დაიწყეო. რეფორმები თან და თანობით უნდა იქმნას შემოღებული, რათა თავიდან აცილებულ იქმნას ისეთი არეულობანი, როგორიც 1895 წელს იყო. იაპონელებმა პენიანიან შეაჩერეს ამერიკის სამხედრო აგენტი და სთხოვეს, სიმაგრეებს ნუ მიუახლოვდებიო.

**კაინსკი.** 7 მარტს პირველ საათზე მოვიდა გენერალი კუროპატკინი; მიეგებნენ ქალაქის მცხოვრებნი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი. გენერალმა მადლობა გადაუხადა შეხვედრისათვის და ისურვა ხელმწიფე-იმპერატორის ჯანმრთელობა და დიდება. ხალხმა უპასუხა „ურა“-ს ყვირილით რომელიც მატარებლის წასვლამდე აღარ შეწყვეტილა.

**მარსელი.** შორეულ-აღმოსავლეთიდან საფორსო გემით მოვიდა ტოკიოში მყოფი ელჩი ბარონ როზენი, იაკოგამაში მყოფი მთავარი კონსული სივერსი და ნაგასაკში მყოფი კონსული თავადი გაგარინი.

**შანჰაი** („რეიტ. სააგ.“). ნიუჩუნიდან ცნობა მოვიდა, იაპონელებმა გაიარეს ტუგუნგის ულელტეხილი. ხმა დადის, რომ იაპონელებს რუსებთან შეტაკება ჰქონდათო. ამბობენ, ვითომ იაპონელებს თავისუფალი გზა ჰქონდეს გაილაშქრონ მოტიევის ულელტეხილზე, სადაც რუსეთის ძლიერი რაზმი სდგას.

**ბერლინი.** აქაური პრესა აღნიშნავს, რომ იაპონიის ფლოტისათვის ცუდი შედეგი მოაქვს გაშლილ ზღვაში დიდის ხნობით დგომასაო; რუსეთის ფლოტისათვის კა ამ გარემოებას კარგი მნიშვნელობა აქვსო; რუსეთის გემები თავისუფალია ამ ცუდ პირობებისაგანაო.

**პეტერბურგი.** ეკატერინოსლავის გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი გრაფი კელლერი სამხედრო მინისტრის განკარგულებაში დაინიშნა.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

**9 მარტი.**

**ლონდონი.** სეულში კორესპონდენტების წასვლის შემდეგ, გაზეთებში იბეჭდება მხოლოდ იაპონურ წყაროებიდან მიღებული ცნობები და მეტის-მეტად ფანტასტიური გამოგონებანი იაპონურ გაზეთებისა.

**ტოკიო.** იტყობინებიან, 6 მარტს პორტ-არტურის მახლობლად ლიაოდინზე ბრძოლა მოხდა, ქალაქზე ზღვიდან იერიში ისევ მიიტანეს. ამბობენ, ვითომ სიონჩიონის მახლობლად რუსებსა და იაპონელებს შორის შეტაკება მომხდარიყოს.

შანჰაიდან იტყობინებიან, ვითომ იაპონელები დუდუნგოუს გადასულიყვნენ.

**ტოკიო.** დეპეშით იტყობინებიან, რომ მარკიზ იამაგატაპ და ფელდმარშალ იოამამ მთავრობას განუცხადეს, მზათა ვართ გემსახუროთ რუსეთთან ომშიო.

**კოლომბო.** მოვიდა გემი „მედოკ“ რომელზედაც „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის მეზღვაურები არიან, რიცხვით 441 კაცი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სამხედრო მოქმედება.** „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: იაპონიის მთავარ-შტაბისა და იმპერატორის უმთავრეს ბინას ხმელეთზე (ალბად, კორეიაში) გადაიტანენ.

„დაილი ნიუს“-ი იუწყება, გენერალი კოდამა მთავარ-შტაბით ტოკიოდან ბრძოლის ველზე წავა და ჯარის მთავარ-სარდლობას შეუდგებაო. ამბობენ, იაპონიის ჯარი აპრილის დამდეგს გაილაშქრებს ზევითკენაო. („მ. ვ.“).

გენერალ სახაროვის და „ფიგარო“-ს თანამშრომლის საუბრის თაობაზე „ტაიმს“-მა ვრცელი მოწინავე წერილი დასწერა. გაზეთი სწერს: იქნება რუსეთმა, თუ საჭირო იქნება, დიდის ვაი-ვაგლახით 400 ათასი ჯარის-კაციც ჩაიყვანოს ბრძოლის ველზე, მაგრამ ეს საკმაო არ იქნება იაპონიის ჯარის შესამუსრველად. საქმე ისაა, რომ იაპონელებს 200 ათასი ჯარის-კაცი კი არა ჰყავთ, როგორც გენერალი სახაროვი ჰფიქრობს, 500 ათასი კაცი ჰყავთ. ეს ნამდვილი, უტყუარი ცნობაა. ახლანდელ ომისათვის იაპონია სრული ექვსი წელიწადი ბეჯითად ემზადებოდა, ყველაფრის თადარიგი წინდაწინვე დაიჭირა, ყველაფერი რიგზე ასწონ-დასწონა და დაწვრილებით მოიფიქრა. თუმცა რუსეთს დიდ-ძალი ულეველი ხალხი და ურიცხვი ჯარი ჰყავს, მაგრამ ბრძოლის ველზე მაინც იაპონიას ომის გათავებამდე ყოველთვის მეტი ჯარი ეყოლება, ვიდრე რუსეთს. ციმბირის ერთლიანდაგიან რკინის გზას არას დროს არ შეუძლიან დიდძალ ჯარის გაყვანა და სურსათის ჩაზიდვა. ზღვის ბატონი და პატრონი კი ყოველთვის იაპონია იქნება („ბ. ვ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ბერლინიდან: „აქაურ სამხედრო წრეებს იმედი აქვთ, ბრძოლის ველზე მოკლე ხანში დიდი ამბები მოხდება, რადგან კორეისა და მანჯურიის ნაპირებზე ყინული მომეტებულ ნაწილად გალხვაო. იაპონელებს აბრალებენ, აკრძალულ ყუმბარებს ხმარობენო. მაგრამ იაპონელები ამტკიცებენ, პორტ-არტურთან ბრძოლის დროს უმეტეს ნაწილად რუსის გემ „მანჯურიაზე“ დაჭერილ ყუმბარებს ვხმარობდითო. ეს ყუმბარები „მანჯურიას“ პორტ-არტურში მიჰქონდა ბატარეებისათვისაო. გუშინდელს აქეთ ბერლინში დაუჯერებელი ხმა დადის, ვითომ რუსის ფლოტს პორტ-არტურიდან გასვლა მოეხერხებინოს. სერიოზულ გაზეთებს, მაგალითად „ტეგლიშე რუნდშაუ“-ს არა სჯერათ ეს ამბავი, თუმცა კი არც შეუძლებლად მიაჩნიათ.

„დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ნიუჩუანიდან: ვიცე-ადმირალმა მაკაროვმა ბრძანება გამოსცა და განაცხადა, ქვანახშირის გამოზოგვა საჭირო არააო. დიდ მძიმე ზარბაზნების ყუმბარებს კი უსათუოდ უნდა გავუფრთხილდეთ, ამ ყუმბარებს ტყუილ-უბრალოდ ნურავინ გაჰფლანგავსო.

ინგლისელ ადმირალ ფრიმენტს ჟურნალისტებთან ეხლანდელ ომზე უსაუბრნია და უთქვამს: იაპონიის ფლოტის ორგანიზაცია, ნაღმიან გემების და კრეისერების მოქმედება, საზოგადოდ გემების განაწილება საზღვაო ტაქტიკის უკანასკნელი სიტყვააო. ფრიმენტს ადმირალ მაკაროვზეც თანაგრძნობით ულაპარაკნია („ნ. ვ.“).

ნიკოლოოზის საზღვაო აკადემიის პროფესორს კაპიტან კლადოს მოსკოვში „რუსკოე სლოვო“-ს თანამშრომლისათვის უთქვამს: ვირენიუსის ესკადრა სხვა ესკადრას შეუერთდება და ორივე ესკადრა ბრძოლის ველზე გაიგზავნება. ამ მეორე ესკადრის უფროსად მეტად გამოცდილი და მცოდნე კაცი დაინიშნა. ამ კაცის სახელს მალე გაიგებთ. ეს ესკადრები სამხრეთის გზით, სუეცის არხზე წავლენ და არა ჩრდილოეთ-ოკეანეზე. ჩრდილოეთის გზით ფლოტის გაგზავნა ფიქრად არავის მოსვლია პეტერბურგშიო.

ამბობენ, რუსეთი წყალ-ქვეშ მოსიარულე ნავებს ჰგზავნის ვლადივოსტოკშიო („ნ. ვ.“).

ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსად ნამყოფს კონტრ-ადმირალ შტაკელბერგს პეტერბურგში, სხვათა-შორის, უთქვამს „რუს“-ის თანამშრომლისათვის: „ვლადივოსტოკის ესკადრას ქალ. ხაკოდატესათვის სულაც არ უსროლია ზარბაზანი. მიკვირს, საიდან გავრცელდა ეს ხმა. ხაკოდატე მშვენივრადაა გამაგრებული. ესკადრა 2 თებერვალს ვლადივოსტოკს დაბრუნდა“ („რ.“).

„ნოვოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიაოიანიდან: „3 მარტი. აქ დროებით სიჩუმე დამყარდა. ჯარი მოდის. პარტიზანული რაზმები არსდება. ყველაფერი საშინლად გაძვირდა. აქამდე სიცივე დგას“.

წითელ ჯვრის უმთავრეს მმართველს გენერალ-ლეიტენანტ ჩიჩაგოვს შემდეგი დეპეშა მიუღია: ხარბინში რუსის მანეთის კურსმა უცებ დაიწია. ამის გამო ყველაფერი გაძვირდა, ყველაზედ მეტად კი საქონლის ფასმა აიწია. საჯდომ ცხენს 100 მანეთზე ნაკლებ ვერ ვყიდულობთ, შესაბმელს—140 მან. გთხოვთ, ნება მიბოძოთ, ამ ფასად ვიყიდო ხოლმე. ამას გარდა გირჩევთ, ჩინურ ეტლებისათვის მეტი ჯორი ვიყიდოთ, ვიდრე ცხენი, რადგან აქაურ გზებზე ცხენები ეტლებს ვერა ჰზიდვენ. კარგი ჯორი—250 მ. იყიდება. წითელ ჯვრის აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა, გენერალ-ლეიტენანტს ჩიჩაგოვს კიდევ 10 ათასი მან. გაუგზავნოთ და ვსთხოვოთ, რომ ცხენების გარდა, 40 ჯორიც იყიდოსო. („ნ. ვ.“).

ამერიკელ მისიონერ-ქალების წარმომადგენელი სეულიდან იუწყება: ამერიკელ ქალებს კორეის სატახტო ქალაქში არაფერი განსაცდელი არ მოელითო. იაპონელი ჯარის-კაცები ამერიკელებს პატივისცემით ექცევიან და ისე უჭირავთ ყველგან თავი, როგორც ქრისტიანებსა და განათლებულ ხალხსაო.

იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, სამხედრო მოქმედებისათვის ნაღდი 576 მილიონი იენა გვაქვსო. აქამდე 60 მილიონი იენა დაიხარჯაო („მ. ვ.“).

იაპონიის ელჩს ლონდონში ბარონ გაიაშის უთქვამს ერთის ჟურნალისტისათვის: „არა მგონია, რომ ხმელეთზე მალე მოხდეს დიდი ბრძოლა. მანჯურიასა და კორეიაში ეხლა დიდი სიცივეა, ამას გარდა ამ ქვეყნებში მეტად ცუდი გზებია. ევროპაში 200—300 წლის წინადაც არა ყოფილა ასეთი უვარგისი, გაუვალი გზები, როგორიც ეხლა ბრძოლის ველზეა. ამიტომ იაპონიისა და რუსის ჯარი მეტად ნელა, მძიმე-მძიმედ ივლის და დიდ მნიშვნელოვანი ბრძოლა ჯერ მალე არ მოხდება.“

**იაპონიის სამხედრო აეროსტატები.** „რუსკი ინვალიდ“-ი სწერს: იაპონიის ჯარს სამხედრო აეროსტატებიც (ჰაერში მფრინავ ბურთები) აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორე ცნობა არა გვაქვს ამ აეროსტატებზე. იაპონიის ფლოტი ჯერ კიდევ 1894 წელს ჩინეთთან ომის დროს ხმარობდა ჰაეროსტატებს, მერე 1900 წელსაც, ჩინეთის არეულობის დროსაც ჰქონდათ იაპონელებს ჰაეროსტატები. ამბობენ, ამ ჰაეროსტატებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს მოკავშირეთა ჯარსაო. ამას გარდა იაპონელები ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევდნენ ჰაეროსტატებს და ყოველთვის იმათ გაუმჯობესებას ცდილობდნენ. „ამომავალ მზის ქვეყნის“ შვილები, თუ არა ვცდებით, ყველაზე წინ მიჰხვდნენ, რომ მრგვალ ჰაეროსტატს გრძელი სჯობია. იაპონელები ეხლა ევრედ წოდებულ გველის მსგავს ჰაეროსტატებს ხმარობენ, ფრანგ აერონავთ ლუი გოდარის სისტემისას. იაპონელები საზოგადოთ ბეჯით ყურადღებას აქცევენ სამხედრო ტეხნიკის განვითარებას, ამიტომ გვგონია, რომ ეხლა საკმაოდ კარგი ჰაეროსტატები ექნებათ და მტრის ჯარის დაზვერის დროს რიგზე გამოიყენებენ.

**მარტენის საქმე.** იაპონიის საზღვაო აგენტის პრინც იტჩიოსა და ფრანგ მარტენის საქმე ზოგს განგებ შეთხზულ საქმედ მიაჩნია. ჟერო რიშარი სწერს „პტი რეპუბლიკ“-ში: „მარტენს არაფერი ჯაშუშობა არ გაუწევია. ჩემის აზრით, ეს საქმე ჩვენმა რეაქციონერებმა შეთხზეს განგებ. რეაქციონერებს ორი რამ სწადიანთ: უნდათ, რომ კომბის მთავრობას საქმე გაუჭირვონ და ჩვენ ხალხს იაპონელები შეაძულონო“.

**საფრანგეთი და რუსეთი.** ზოგიერთ ფრანგ სენატორს, დეპუტატს და მინისტრს უთქვამთ, რუსეთსა და იაპონიას ეხლავე შერიგება ვურჩიოთო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს მინისტრების საბჭოში ამ თაობაზე ულაპარაკნია და უთქვამს, ამ ჟამად საფრანგეთი რუსეთის მთავრობას შერიგებას ვერ ურჩევსო. („რ.“).

## ახალი ამბავი

— როგორც გვატყობინებენ, განჯაში გამართულ **ქართულ სალამოს** შემოსავალ...

# ფელეტონი

## „კოლხიდა“ და მისი ეხლანდელი სამოქმედო ასპარეზი

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ „კოლხიდა“მ 1903 წლისათვის საოპერაციო მოქმედება იანვარში უკვე დაამთავრა. თავიდანვე სასარგებლო წარმოება-მეურნეობის ორი დარგი—პარკისა და ბამბის ოპერაცია, რომელიც ერთი უმთავრესი ძარღვია იმერეთის ხალხის ეკონომიურ მდგომარეობისა, „კოლხიდისათვისაც“ წინა წლებივით მომგებიანი საქმე იყო. ამგვარად სამიოდე წლის არსებობის ხანაში „კოლხიდა“ ნელნელა ვითარდება, მკვიდრდება და საქმიანობის იმდენა ჰგვრის მასთან ნივთიერ ინტერესებით შეკავშირებულ მახლობელ წევრებს და შორიდან გარეშე მაყურებელს. ეს კი, დამეთანხმებით, არც მაგრე ხშირი მოვლენაა ჩვენ მოდუნებულ ცხოვრებაში.

წასულის წლებით დაზარალებული „კოლხიდა“ წელს თავის სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას შეუდგა. გამგეობამ გადასწყვიტა დააარსოს ამხანაგობის კანტორასთან (ბალახვანის ქ. ა. მხეიძის სახლში) „საკომისიო ბიურო“ უმთავრესად სამეურნეო-სამრეწველო საქმეების საწარმოებლად, რომ უფრო მტკიცე კავშირი იქონიოს იმასთან, ვისთვისაც და რისთვისაც ეს ამხანაგობა არის დაარსებული. „კოლხიდის ბიუროს“ დღესდღეობით აღებული აქვს: 1. აბრეშუმის თესლი (გრენი) ხრისტოდულიდის და პასხალიდის თეთრი ჯიშისა, ყვითელი ქართველ ქალთა სამეურნეო ამხანაგობის „თამარასი“ და ბ. დეკანოზიშვილისა. 2. ბამბის კურკა ჩვენებური და ამერიკული (ეს უკანასკნელი სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის გამოგზავნილი). 3. ბეოლის ნერგები. 4. საუკეთესო ხეხილების ნერგები. ვაშლის, მსხლის, ბლის, ატმის, ალუბლის, ნუშის, ქერამის და სხ. ძმების ფრიდონოვების სკრის ბაღისა*) და წყალწითელას საცდელ მინდვრისა. 5. ნამყენი ვენახები ჩვენებური და ევროპიული ჯიშებისა გიორგი ჩიკაძის, საქარის და „სვირის ღვინის“ ამხანაგობის სანერგეებიდან,**) 6. შაბიამანი და გოგირდი. 7. ვენახების სარწყავი მანქანები. 8. გაზაფხულზე სათესი ახალი პურის თესლი. 9. ბოსტნეულობის თესლები და მე-10 ხსენებული ბიურო კისრულობს ყოველგვარ სამეურნეო იარაღის გამოწერას საუკეთესო-ცნობილ ფირმებისაგან***).

ზემორე ჩამოთვლილ „ბიუროს“ საოპერაციო საქმეებში „კოლხიდა“-ს ამხანაგობის გამგეობა უმთავრესს ყურადღებას აქცევს მეაბრეშუმეობასა და მებამბეობას. იგი ცდილობს მეურნეობის ამ დარგების გასავითარებლად საიმედო თესლი მიაწოდოს მწარმოებელს. ამ აზრით მას უნდოდა წელს საცდელად დაეწყო ქუთაისში აბრეშუმის თესლის ადგილობრივად დამზადების საქმე, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზისა გამო, ამ ხელად ეს ვერ მოახერხა. სამაგიეროდ შეიძინა საიმედო ფირმებისაგან დამზადებული თესლი და აწვდის სოფლის მწარმოებლებს წვრილ-წვრილად ერთხელვე დადგენილ ზომიერ ფასებში.

მეაბრეშუმეებისათვის თესლის მიწოდება იმერეთში ერთ გვარიან შემოსავლიან წყაროდ გადააქციეს მსხვილმა და მათის წყალობით სოფლების წვრილმა ჩარჩებმა. პირველნი ერთბაშად ყიდულობენ აბრეშუმის თესლს მსხვილ მწარმოებლებისაგან და ურიგებენ სოფლის ჩარჩებს, რომელთა რიცხვი დღევანდელ ეკონომიურ ურთიერთობაში ყველგან მრავალია, ვის ნაღდზე, ვის ნისიად და ამნაირად მოთხოვნილების კვალობაზე ადგენენ ფასებს სოფლებში. ესენიც, რასაკვირველია, როგორც შინა კაცები, ურიგებენ მეზობლებს თითო ორ-ოლა კოლოფ თესლს ზოგს ნაღდზე და ზოგს ნისიად მოსავლამდე. ნაღდიცა და ნისიაც, რა თქმა უნდა, ერთი ორად და სამად ნაყიდი უჯდებათ წვრილმწარმოებლებს, მაგრამ რას იქმ! ზოგი თავის უვიცობით, ზოგი უსახსრობით და ზოგიც მეზობლობა-ნათესაობით ან კიდევ შიშით იძულებულია თავის სოფლის წურბელა ვაჭარს გამოართვას თესლი და ამნაირად თავისი მომავალი ნაოფლარის ბედი თავისსავე მძარცველ-მგლეჯელს დაუმონაოს. იმისგან ნაბძანები, დათქმული აქვს, რომ „მაზანდაზე საქონელს ვერ გამიყიდიო“. და ვაი იმისთანა მაზანდას, სადაც სასწორ-სამართალი აგვარ ნაძალადევ დამბევებელისაგანაა დამოკიდებული: იგი დამონებულს თუ მაზანდაში ვერ მოატყუილებს, სამაგიეროდ, საქონლის მიღების დროს წონაში, ანგარიშში მაინც გადაართმევს როგორც თავის გასამრჯელოს, ისე უვექსილოთ და უთქმელად ფულის სარგებელს. აქვე, ამგვარობაში მანვე უნდა წაგლიჯოს მწარმოებელს იმდენი ზედ-მეტი, რომელმაც უნდა უზრუნველ-ჰყოს ამისთანა ხელზე მოვაჭრეების არსებობა დანარჩენ, უსაქმოთ გატარების დროს. ამგვარ ტიპებით კი სოფლებში, რუსთა თქმისა არ იყოს, „хоть пруд пруди“.

ამგვარი დამოკიდებულება არსებობს დღეს სოფლელ მწარმოებელსა, იქაურ ვაჭარ-ჩარჩებ-კომისიონერებსა და ქალაქელ თანხის პატრონთა შორის. თქმა არ უნდა, ამგვარ ეკონომიურ ურთიერთობას ერთი და ორი სამეურნეო ამხანაგობა ვერ შესცვლის, თუნდაც ისინი ევროპიულ ნიადაგზე, ევროპიულის თანხებით და ორგანიზაციებით იყვნენ აღჭურვილნი. ამისთვის დღეს ძირითადი ცვლილებებია საჭირო. მხოლოდ „კოლხიდა“ და „მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობა“ ვით წვრილმან მეურნეთა უზომო ექსპლოატაციას ასუსტებს, წინ ეღობება და უამათოთ მთელი კოლხიდის მკვიდრი იყვნენ ... ფებოდა ვაჭარ-ჩარჩებისაგან, ამათი არსებობით ეს რიცხვი მესამედ-მეოთხედდება, რომ ხსენებულ ამხანაგობებს მომეტებული საშუალება ჰქონდეთ თავის დროზე საიმედო თესლის შესაძენად და ხალხში დასარიგებ...

*) დღემდი „კოლხიდის ბიურომ“ ფრიდონოვის ნერგები 600—700 ძირი უკვე გაყიდა და ერთი ამდენიც დაკვეთილი აქვს სხვა-და-სხვა პირებისაგან. უმეტესი ნაწილი ამ ნერგებისა გაიყიდა სამეგრელოში. წვრილ-წვრილათ ხუთი და ათ-ათი ღერი ქუთაისსა და მახლობელ სოფლებშიაც მიაქვთ.

**) ნამყენი ვაზი 1500 ძირი აქვს გაყიდული ჯერჯერობით და ერთი ამდენიც შემოკვეთილი.

***) სამეურნეო იარაღებში ამხელად მხოლოდ ორგვარი გამოიწერა „ბიურომ“ გუთნები ექვსი ცალი: სამი სოფ. ქაგანში ახლად დაარსებულ სამეურნეო ამხანაგობის „მშრომელთა კავშირისათვის“ და ბამბის და სიმიდის სათესი იარაღები 6 ცალი. ეს იარაღი ბამბასაც და სიმინდსაც მწკარდამწკარ სთესავს. პირველი უკვე მიიღო კანტორამ, ხოლო მეორეს მოელის ამ დღეებში.

ყოფილა 600 მანეთი. აქედან წმინდა დარჩენილა 300 მ., „წ. კ. საზოგადოების“ სასარგებლოდ 200 მანეთი, ხოლო წითელის ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ—100 მანეთი.

◆ **ლეჩხუმიდან** გვატყობინებენ, რომ მთავრობის ნებართვით ქოშხის საზოგადოების ს. ჭრებალოს ამიერიდან კვირაში ორჯელ გაიმართება ბაზრობა—პარასკევობითა და კვირაობით. ადგილი ბაზრისათვის საზოგადოებას დაუთმო თავ. იასონ გელოვანმა. ბაზრობის გახსნა დანიშნულია პარასკევს, 30 აპრილს, როდესაც გადახდილ იქნება პარაკლისი. იმავე დღეს საღამოს, იქვე, თავ. ლევან დადეშქელიანის თაოსნობითა და გამგებლობით, „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება ქართული წარმოდგენა; წარმოდგენა გაიმართება აგრეთვე კვირას, 2 მაისს,—ბაზრობის მეორე დღეს. 30 აპრილს ამასთანავე დანიშნულია დოღი, რომელშიაც გამარჯვებულ ცხენებს ჯილდოს მისცემენ: 1-ლ ცხენს—50 მან., მეორეს—30 მან. და მესამეს—20 მანეთს.

◆ **ბათუმი.** 6 მარტს „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ აქაურ სკოლაში მოსწავლეთათვის გამართეს მასწავლებლებმა გასართობი საღამო ბუნდოვანის სურათებით. სასიამოვნო სანახავი იყო ბავშვების ცოცხალი აღტაცებული სახეები, ყველა მოუთმენლად მოელოდა საღამოს დაწყებას. დაბინდდა თუ არა, მოაწყეს ფარანი და აჩვენეს ბავშვებს სხვა-და-სხვა სურათები. მშვენივრად იგალობა ბავშვების ხორომ თავ. ნ. ნაკაშიძის ხელმძღვანელობით: „ტყეს ესხმება ფოთოლი“, „ფაცხა“, „მორბის არაგვი“, „მერცხალი“, და სხ. შემდეგ ბავშვებმა წაიკითხეს რუსულად და ქართულად ლექსები და არაკები კარგის, გრძნობიერის გამოთქმით. დასასრულ საცეკვაო სიმღერაზე იცეკვეს ლეკურიც. საღამოს ბავშვების მშობლებიც დაესწრნენ.

—ამ ოთხი დღის წინად აქ მახთაშოვის ქარხნის მუშებს ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში და მსუბუქად დაიჭრა ორი გურული და ერთი მეგრელი.

◆ როგორც **მარსელიდან** მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, ამ ჟამად აბრეშუმის პარკის ფასმა ძალიან დაიკლო. იანვარში ფასი იმ პარკისა, რომლის 4 კილო იძლეოდა ერთ კილო აბრეშუმის ძაფს, 11 ფრანკამდე ადიოდა, ე. ი. ფუთი 65 მანეთზე მეტი. თებერვალში ფასმა 60 მანეთამდე დაიწია. ეხლა ფასი 56 მანეთამდე ჩამოსულა. სამწუხაროდ, ჩვენს მეაბრეშუმეთა ამხანაგობებს და ზოგიერთ კერძო პირთაც ჯერ კიდევ გაუყიდავი აქვთ მარსელში პარკები და, რასაკვირველია, თუ ასეთმა ფასმა დიდხანს გასტანა, დიდი ზარალი მოუვათ, რადგან იმათ ფუთი მარსელში მიტანით 70 მანეთამდე უჯდებათ.

◆ სამოსწავლო უწყებას გადაუწყვეტია მომავალ წლიდან ტფილისის **საოსტატო ინსტიტუტში** 30 პანსიონერის მაგივრად იყოლიოს 60.

◆ მეორე ლექციას **ექიმი ბლუმენტალი** ჭლექის შესახებ წაიკითხავს პარასკევს, 12 მარტს.

◆ როგორც გადმოგვცეს, ფინანსთა სამინისტროს **შავი-ქვის მრეწველთა** საგანგებო კრებაზე წარმომადგენლებად დაუნიშნავს სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების გამგე ა. ა. ჟუკოვსკი და ა. ვ. ტრიროგოვი.

◆ 13 მარტს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება **ტფილისის სატეხნიკო საზოგადოებას.** ამ კრებაზე ინჟენერი ნ. ნ. პილცოვი წაიკითხავს მოხსენებას ნიაღვრისა და წყალდიდობისაგან ნათესობის დაცვის შესახებ.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი** ბ-ნი ლეი გუშინ საღამოს ბათუმს წავიდა სარევიზიოდ. ბ-ნ ლეის მინდობილი ჰქონია გამოიკვლიოს მიზეზები დეპეშების დაგვიანებისა გადაცემის დროს.

◆ უკვე გვქონდა აღნიშნული **ავლაბრის მცხოვრებთა** შუამდგომლობა კახეთის მოედნის განთავისუფლებისა დუქნებისა და ფარდულებისაგან. ამის შესახებ ქალაქის გამგეობამ ცნობები მოსთხოვა სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველს, რომელმაც გუშინ შეატყობინა, რომ კახეთის მოედანი საბაზრო ადგილია და ვაჭრები ხელს არ უშლიან სოფლიდან სანოვაგის შემომტანთ, რადგან ამ უკანასკნელთათვის მოედნის შუაგულში კარგა მოზრდილი ადგილია დატოვებული. ზედამხედველის აზრით, ვაჭრები მცხოვრებთ საქმეს კი არ უჭირვებენ, პირიქით, დახმარებას უწევენ იაფად საჭირო სანოვაგისა, ტანისამოსის და სხვა ნივთების მიწოდებითაო.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ წარუდგინა გუბერნატორს ქალაქის საბჭოს დადგენილება **ხორცის ნიხრის** მომატების შესახებ.

◆ ხვალ, 11 მარტს, სხდომა ექნება კავკასის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველის არჩევის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ **პარიზში** Bulletin de la Société d'Excursions Scientifiques“-ის მეორე ტომში (1901—1902 წ.წ.) დაბეჭდილია წერილი ბ-ნის თ. სახოკიასი ამ სათაურით: „Les menlirs en Georqie“ (მენირები საქართველოში). წერილი შეეხება ისტორიის წინა დროის ნაშთებს, როგორც არის, სხვათა შორის, მენიერი ანუ დიდი გაუთლელი ლოდი, რაიმე ამბის მოსაგონებლად ამართული მიწაზე. წერილს ჩართული აქვს ორი სურათი საქართველოს მენიერისა, რომლებზედაც სხვა-და-სხვა რამეებია ამოჭრილი.

მეორე ფრანგულ ჟურნალში „Pevne des Traditons Populires“-ში (ივნისი 1903 წ.) ბ-ნს თ სახოკიასვე დაუბეჭდია ქართული ლეგენდა „Porquoi les Géorqiennes sont belles?“ (რისთვის არიან ქართველი ქალები ლამაზები).

◆ 8 მარტს თამამშევის ქარვასლაში მოვაჭრე სერგო წერელოვის მაღაზიიდან ვიღაც ქურდს მოუპარავს 70 საყელო, 12 ჩულქი, 18 საპონი და სხვა წვრილმანით

◆ 7 მარტს, ბორჯომის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში, ტფილისის მოქალაქის ნაზაროვის ბინიდან ქურდს მოუპარავს 82 მანეთის ტანისამოსი.

◆ ტფილისის მოქალაქეს იოსებ ჯაფარიძეს, შამილ ტუაროურს და ბართლომე სუსტიაშვილებს ვერაზედ მიმავალი ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ერმილე და არტევან ხუდაშვილებს მიუგდეს ვითომდა ფულის ქისა. როცა ხუდაშვილებს აუღიათ ქისა, ერთი წამოსწევია და უთქვამს, ეგ ფული მეც დავინახე, წავიდეთ, გავიყოთო. ხუდაშვილები გაუტყუებიათ ვერის სასაფლაოზე და იქ მათთვის ჯიბიდან 108 მან. ამოუცლიათ. ბოროტ-მომქმედები დააპატიმრეს, რომელნიც გამოტყდნენ კიდეც დანაშაულში.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, წინააღმდეგი ხომ არ ხართ, ნება მიეცეს ტფილისის მცხოვრებს ოგანოვს პოლიციის მე-7 ნაწილში ტყავის ქარგანა გამართოსო.

◆ ახალქალაქის მაზრის უფროსმა აცნობა ტფილისის გუბერნატორს, რომ 4 მარტს, საღამოს 6, საათზე მუსხელოვის სახლში უპოვნიათ დამხრჩვალი გვამი ახალქალაქის მცხოვრების ქვრივის ორიმსიმევაირატოვისა. ამ ბოროტ-განზრახულობას აბრალებენ ახალქალაქის მოქალაქეს არუთინ პიჩიკიანცს და ალექსანდროპოლის მოქალაქეს ლევან მირაქიანცს

◆ სოფ. ჯუგაანში (სიღნ. მაზრა). მცხოვრების ზაქარა ბროლაძის თამბაქოთი სავსე ბოსელს ცეცხლი წაუკიდა ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა. ზარალი 1500 მანათისაა.

◆ სოფ. მაჩხაანში (სიღნ. მაზრა). მცხოვრებთ ნიკა, თედო და ილა ნატროშვილებს მტრობით ხელი უკრავთ და ხევში გადაუჩეხიათ თავისივე მეზობელი გიო ოზბეტაშვილი, როცა ის გზათ მიდენილა.

◆ სოფ. საქობოში (სიღნალის მაზრა) მცხოვრებლების გიო და მიხა ჯიბგაშვილებისთვის ვიღაც ბოროტ-განზრახველთ მოუპარავთ ვაზი 200 მანეთისა.

◆ სოფ. ბოდბეში (სიღნალის მაზრა) მცხოვრების ვანო ბვგაშვილისთვის მტრობით ცეცხლი წაუკიდებია მის საბძლისთვის სოფ. მაღაროსკარის მცხოვრებს ვანო კანდაშვილს. ზარალი 410 მანათისაა.

◆ სოფ. ხანჩალოს (ჯავახეთი) მცხოვრებს სიმონ ესოიანცს სიმთვრალის დროს თოფი გავარდნია და მძიმედ დაუჭრია გ. პოდოიანცი.

◆ ძმ. აპრიამოვის მკვლელობას, რომელიც სიღნაღის მაზრაში მოხდა ამ დღეებში, აბრალებენ სოფ. ყვარლის (თელავი მაზრა) მცხოვრებს გიორგი ჯუჯაშვილს, რომელიც უკვე შეუპყრიათ,

## ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, ძმ. გოკიელოვების მაღაზიაზე ავაზაკთაგან თავდასხმა ამგვარად მომხდარა: ექვსი კაცი მაღაზიაში შესულა და ფული მოუთხოვია მიხეილ გოკიელოვისთვის. ოთხი კი გარედ მდგარა. გოკიელოვი გაძალებულა, რა ფული უნდა მოგცეთო. ამ დროს ერთი ავაზაკი ხანჯლით დამუქრებია, მეორეს ბერდანა დაუმიზნებია და მესამესაც რევოლვერი, ეხლავე კასის გასაღები მოგვეცი, თორემ მოგკლავთო. ეს რომ დაუნახავთ, ნოქრებს გარედ გამოვარდნა მოუნდომებიათ, რომ პოლიციისთვის შეეტყობინებინათ თავდასხმა. ავაზაკები კარებში ჩამდგარან და არ გაუშვიათ. მხოლოდ ორს უმცროს ნოქარს მოუსწრია ეზოში გავარდნა, რომ იქიდან სახურავზე ასულიყვნენ და ხალხისთვის ეცნობებიათ ავაზაკების თავდასხმა. მიხეილ გოკიელოვს ამოუღია, რაც სტოლის უჯრაში ფული ჰქონია, და სტოლზე გაუბნევია: ამის მეტი ფული არა მაქვს აქ; კასაშიაც არაა ფული; კასის გასაღებიც ჩემს ძმას აქვს წაღებული; თუ გინდათ, კასა გატეხეთ და, თუ რამ ნახოთ შიგ, წაიღეთო. ამასობაში სახურავზე ასულს ნოქარს ყვირილი დაუწყია, გოკიელოვს ავაზაკები ჰკლავენო. ეს რომ გარეთ მდგომს ავაზაკებს გაუგონიათ, მაშინვე თოფი დაუცლიათ და ამით მაღაზიაში მყოფ ავაზაკებისთვის ნიშანი მიუციათ, გარეთ გამოდითო. უკანასკნელთ ხელი დაუვლიათ სტოლზე გაბნეულ ფულისთვის, რაც მოუსწრიათ, წაუღიათ და გარედ გავარდნილან. მათ გამოსდევნებია ერთი ნოქარი და ორჯერ უსროლია რევოლვერი. როგორც ის ამბობს, ერთს ავაზაკს მოხვდა ტყვია და წაიქცა, მაგრამ მალე ისევ ფეხზე ადგა და სხვებთან ერთად გაიქცაო. კაცი არ აღმოჩნდა, რომ დამხმარებოდა; ყველამ მაღაზიები მიხურა და შიგ ჩაიკეტაო. ავაზაკები თოფების სროლით გაქცეულან წითელის ხიდისკენ. ერთი ბერდანის ტყვია მოხვედრია ხიდს გაღმა ორსართულიან სახლის აივანზე მდგომს ფულარიანის ცოლს (და არა წულეისკირისას, როგორც წინა წერილში შეცდომით მქონდა ნაჩვენები) მკლავში და ძუძუში გაუვლია. დაჭრილი მაშინვე თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს; ამბობენ, ჭრილობა ძლიერ სამძიმოაო. ავაზაკები უგზო-უკვლოდ მიიმალნენ. წაიღეს 45 მანეთი და ცხრა შაური; 35 მანეთამდის კი ისევ სტოლზე დარჩენიათ წაუღებელი. ავაზაკები ვერ უცვნიათ, როგორც ამბობენ, ნიღაბ-აფარებულები უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი ამბები ხდება შუა ქალაქში, საღამოს რვა საათზე, და პატრონი კაცი არაა, რომ მცხოვრებლე-

ლად, მაშინ თესლის დარიგების საქმე უფრო კარგ ნიადაგზე დამყარდებოდა. დღეს-დღეობით ეს ამხანაგობანი აბრეშუმის თესლს 2 მ. 40 კ. დაწყებული 3 მან. ზევით არა ჰყიდდიან, მაშინ როდესაც ვაჭრები სოფლებში 4, 5 და 6 მან. იღებენ, რადგან იციან, რომ საიმედო თესლების წელსაც ნაკლებობაა. ამის ალღო აღებულმა ვაჭრებმა ქუთაისშიაც წელს მრავალმა მიჰყო ხელი თესლით ვაჭრობას და მის ავ-კარგიანობაზე კი ვინ რას ჩივის. დღეს ამათ ხელში სულ ნაირ-ნაირ უცნობ და შეუმოწმებელ ფირმების თესლებს შეხვდებით და თუმცა ამაებს ისინი იაფად აწვდიან უვიც ხალხს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარ ღირდეს არცა ჩირად“-ო და აბრეშუმის თესლი ხომ, ცნობილია, ყოველნაირ ნაზ სატრფოზე უნაზესი ქმნილებაა.

რაც შეეხება ბამბის კულტურას, ამაშიაც „კოლხიდა“ თავის ნორჩი არსებობის შესაფერ ღონისძიებასა ხმარობს მისდა გასაუმჯობესებლად. იგი ყოველ წლობით იტოვებს ხოლმე თავის მიერ გადამუშავებულ ბამბიდან 1000—1500 ფუთ სათესლე კურკას საუკეთესო ბამბის ადგილებისას (სალომინაოს და სიმონეთის) მებამბეებისათვის წვრილწვრილად დასარიგებლად. ამ აზრით „კოლხიდა“-მ წელს ბამბის ორი ახალი საკულტურო ადგილი გაიჩინა: სამეგრელოში—ზუგდიდის მაზრა და გურიაში—სოფ. საჯავახო. ზუგდიდში „კოლხიდის“ ამხანაგობის საქმეების წარმოება მინდობილი აქვს იქაურ ურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარეს ბ-ნ დგებუაძეს. მას უკვე გაუგზავნა გამგეობამ 60 ფუთი ჩვენებურ და ამერიკულ ბამბის სათესლე კურკა ზოგი მუქთად დასარიგებლად ღარიბ მეურნეებისათვის და ზოგიც მემამულეებზე გასასყიდად. მსურველებს შეუძლიანთ მისგანვე მიიღონ მეაბრეშუმეობა, მებამბეობაზე და სიმინდის ახალი მატლის (ჩრჩილის) შესახებ მოკლე დარიგებანი.

რადგან ბამბის კულტურაზე ლაპარაკი მოგვიხდა, არ შეგვიძლიან უყურადღებოთ დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ ქუთათური ვაჭრები (რომელთაც უეჭველია, უფრო ფული ამოძრავებთ, ვიდრე ხალხის კეთილდღეობის სურვილი) თავიანთ დახარბებულ ორგანიზაციით შეიძლება რაოდენობის მხრით ხელს უწყობენ მეურნეობის ამ დარგის განვითარებას, მაგრამ ინტენსიურათ, თვისებით კი ამ დარგის კულტურის ხელის შემშლელნი არიან. ისინი არავითარ ღონეს არა ზოგავენ, ოღონდ მომეტებული საქონელი შეიძინონ, ბამბა კვირტში, დაუმწიფებელი გამოაღებინონ მწარმოებელს და ამ რიგად ერთი-მეორეს ყიდვაში მოასწრონ. სოფლის მწარმოებლებმა გაიგეს თუ არა ვაჭრების ამნაირი დახარბებულობა, აღარც ამწიფებენ ბამბას და აღარც შესაფერისად უვლიან: ხარისხებად იმის შენახვას ხომ ვინღა დაეძებს, ბუნებით კარგ ბამბაში ურევენ ათასგვარ რამეს: ქვას, სილას, სიმინდს და ზოგი წყალსაც კიასხამს. 20—25 წლის წინად-კი იმერეთში ბამბას დიდი ფასი ჰქონდა. ფუთი 10—25 მან. თურმე იყიდებოდა, და ჩვენებურ, აზიურ ვაჭრობის წყალობით 1 მ. და 1 მ. 50 კაპ. დაეცა, რადგან ბამბაში სიმძიმის მისაცემად მარილის, დანაყილი თეთრი ქვის და სხ., ამისთანების გარევა დაიწყეს ამით საქონელს ღირსება და ბაზარიც მოუსპეს. ამნაირად იმერეთის მშვენიერ, თეთრ, ნაზ და მუშკიან ბამბას ბაზარზე სახელი ისე გაუფუჭეს, რომ ჩვენებურ ბამბას მოსკოვის და ლოძის პირჟაზე ბევრი ჯერაც ეჭვის თვალით უყურებს, თუმცა იმერეთის ბამბას ახლა სახელი ისევ უკეთდება და, როგორც სწერდნენ წელს „კოლხიდას“ მისი მოსკოველი და პეტერბურგელი აგენტები, იქაურ მეფაბრიკეებს „კოლხიდის“ გაგზავნილი ბამბა ძლიერ მოსწონებოდათ, როგორც სხვებზე უკეთეს ნახელობით, ისე ბუნებრივ თვისებით. ლოძელმა ვაჭრებმა, რომლებმაც წელს მთელ ქუთაისში ნაწარმოები ბამბები იყიდეს „კოლხიდისა“ და ვაჭრების, პირველის ბამბა უკეთესად იცნეს სხვებისაზედ და ფასიც მეტი მისცეს. ამგვარად ბამბის კულტურას იმერეთში კარგი მომავალი აქვს და, ეჭვი არაა, იგი თუ სხვა, უფრო ნაკლებ მომცემიან კულტურას, მაგ. სიმინდისას, არ გადააჭარბებს, სათეს სივრცის რაოდენობით მისოდენ შემოსავალს მაინც მისცემს ინტენსიურად, თვისებით. აი ამიტომ ვარ წინააღმდეგი მხოლოდ ვაჭრულის ინტერესებით ბამბისა და აბრეშუმის წარმოებაში ჩარევისა.

მევენახეობა-მეღვინეობის სასარგებლოდაც შემდეგ ზომებს იღებს წელს „კოლხიდა“. შაბიამანისა და გოგირდის ვაჭრობაც დღეს ვაჭრების ხელშია. სხვა საქმეებივით, იგიც ვერ ასცდა ერთგვარ ფალსიფიკაციას, სიყალბეს და მხოლოდ აქა-იქ თუ შეხვდებით ნამდვილ, ვენახისათვის სარგო შაბიამანს. სიყალბემ აქაც მოახერხა ქსელების გაბმა და გულ-უბრყვილო ხალხის ამ ქსელში ჩახლართვა. აი, ამგვარ სიყალბის შესასუსტებლადვე წელს პირველად იწყებს „კოლხიდა“ შაბიამანის აპერაციას. მან უკვე გამოიწერა ინგლისის საიმედო ფირმის მაკენსფილდის და სტარის შაბიამანი და გაჰყიდის იმას ზომიერ ფასებში სხვებზე ნაკლებ, როგორც ქუთაისსა, ისე სოფლად მევენახეობის რაიონებში: სიმონეთსა, ყვირილასა და რაჭა-ლეჩხუმში. რაც შეეხება მეღვინეობას, აქ „კოლხიდა“-ს უნდა კახური ღვინოების ტიპი დაიცვას ქუთაისში და ააცდინოს მას ასე გავრცელებული ფალსიფიკაცია ამ ღვინოებისა. დღეს ნამდვილ კახურ ღვინოს არა თუ ქუთაისში, ტფილისშიაც ძვირად ჰნახავს მომხმარებელი. ამიტომ „კოლხიდა“-ს გამგეობამ წინადადება შეიტანა „კახეთია“-ს ამხანაგობაში, რომ მიეცა თავის ფირმის ღვინოების წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიაში. „კახეთია“-ს ამხანაგობის გამგეობა „კოლხიდა“-ს წინადადებას დასთანხმდა და დღეს ეს უკანასკნელიც ქუთაისში ამ საქმის მოწესრიგებას შეუდგა. იგი იქონიებს საწყობს და სარდაფს თავის კანტორასთან, საიდანაც მომხმარებლებს შეეძლებათ წაიღონ ღვინო ბოთლობით წვრილ-წვრილად და ერთბაშადაც. ამგვარად „კოლხიდა“ იქმნება აქ ერთად-ერთი წარმომადგენელი „კახეთია“-ს ამხანაგობისა.

ასეთია პირველი ნაბიჯი „კოლხიდა“-ს ამხანაგობისა. იმედი ვიქონიოთ, რომ „კოლხიდა“ ამ ისტორიულ სახელს ახალ დროის შესაფერ შინაარსს მოუპოვებს, რის თავდებიცაა იმის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი.

**ისო.**

ბი დაიცვას ავაზაკთაგან. ფულარიანის ცოლის ექიმობაზე ხარჯის გაწევა იკისრეს ძმ. გოკიელოვებმა...

— ამ წლის იანვრის შუა რიცხვებში ბავშვებთათვის მზრუნველ ქუთათურ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შრომის მოყვარეობისა და სამუშაო სახლების სამზრუნველოს წინაშე იმის შესახებ, რომ საზოგადოებას მისცემოდა ერთ დროულ შემწეობად 3,000 მანეთი და უსარგებლო სესხი 6,000 მანეთი ოცის წლის ვადით. ამის პასუხად გამგეობამ მიიღო წერილი, რომლითაც სამზრუნველო თხოულობს ზოგიერთ დამატებით ცნობას საზოგადოების მდგომარეობის შესახებ და აღძრულ შუამდგომლობის ზოგიერთ მუხლების შეცვლას; ამასთანავე აუწყებს გამგეობას, რომ სამზრუნველოს წესდებით სესხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 13 წლის განმავლობაში გარდახდილ იქმნებაო.

◆ როგორც იქნა, გადასწყდა საკითხი კვირა-უქმე დღეებში ნოქრების შესვენების შესახებ. როგორც ბ-ნი გუბერნატორი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, მთავარმართებელს დაუმტკიცებია ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილება, რომ სავაჭროები დაკეტილ იქმნას მთელის დღით კვირა დღეებსა და თორმეტ უმთავრეს დღესასწაულს; დანარჩენს უქმე დღეებში კი უნდა დაიკეტოს დილიდან მხოლოდ 12 საათამდის. ქალაქის გამგეობამ ამ საკითხის შესახებ სავალდებულო დადგენილება დააბეჭდვინა და ქალაქში გამოაკვრევინა. ეს დადგენილება ძალაში შევა ამ წლის 15 მარტიდან.

◆ ქუთათურმა მეპურეებმა სთხოვეს ქალაქის საბჭოს: ფქვილი გაძვირდა და პურის ნიხრი მოგვიმატეთო.

◆ ქალაქის გამგეობამ იჯარით გასცა სადორიის აგარაკში 350 საჟენი შუშის მოჭრა და დადგმა; თითო საჟენის მოჭრაში აძლევს ოთხ აბაზს. შუშის მოჭრა შუა აპრილამდის უნდა გათავდეს.

◆ ხმოსან ნ. ბარაბაძეს განცხადება შეუტანია ქალაქის საბჭოს სახელზე, რომლითაც ის ურჩევს საბჭოს ქალაქის ავთიაქის იჯარით გაცემას.

◆ ქალაქის გამგეობამ შესაძლოდ სცნო უცვლელად მიეღო ეკლარის აგარაკის მმართველის მოხსენება მადანში ქვის მოტეხის ბაჟებისა და ქალაქში გასასყიდად ჩამოტანილ ქვის ფასების დაკლების შესახებ. რაც შეეხება ქალაქში ქვის საწყობის გამართვასა და ეკლარიდან ქვის გადმოსატანად ორი ურმის შეძენას, გამგეობამ წელს მაინც მოუხერხებლადა სცნო.

◆ გუბერნიის ხაზინის სახელმწიფო შემნახველი კასა, რომელიც ბულვარის პირდაპირ ი. გველესიანის სახლში იყო მოთავსებული, 7 მარტიდან გადაიტანეს გაღმა, გოსპიტლის ქუჩაზე, ნარსიას სახლში; გველესიანის შენობაში კი გადმოდის გუბერნიის სტამბა და საკანცელარიო ნივთების მაღაზია.

## ტფილისის ქალაქის საბჭო

**8 მარტი**

კრებას თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. წინა კრების ოქმების დამტკიცების შემდეგ ხმოსანმა თავ. ა. მ. ალუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა: 1902 წელს გამოცემულ საქალაქო დებულების ძალით, ერთის წლის შემდეგ დებულების გამოცემისა ქალაქის გამგეობას უნდა შეემუშავებინა ინსტრუქცია თვისვე სახელმძღვანელოდ და აგრეთვე უნდა განსაკუთრებული მოხსენება შეედგინა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული სამუშაო ქალაქის გამგეობის წევრთა შორის. თუმცა ინსტრუქცია საბჭოსთვის 1903 წელს უნდა წარედგინათ, გადის 12 წელიწადი და ჯერაც არ მიუღია საბჭოს ამ საგნის შესახებ არავითარი ცნობა. 1897 წელს, როდესაც მე გამგეობის წევრად ვიყავი, ერთი ნაწილი შედგენილ ინსტრუქციისა განვიხილეთ. მაგრამ მას აქეთ არ ვიცი, რა მდგომარეობაშია ეს საქმეო. საბჭო დაკმაყოფილდა თავმჯდომარის თავ. ჩერქეზიშვილის განმარტებით. თავმჯდომარემ აცნობა ხმოსნებს, რომ ამ უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში გამგეობას 15 სხდომა ჰქონდა აღნიშნულ ინსტრუქციის განსახილველად. მალე დამთავრდება ინსტრუქციის შემუშავება და საბჭოს წარმოედგინება განსახილველადაო. ამის შემდეგ ხმოს. ა. ს. ბაბოვმა მოითხოვა შეატყობინოს გამგეობამ, რა მიზეზია, რომ ავლაბარში რკინის გზის ლიანდაგზე გაკეთებულ ხიდზე მიმოსვლა შეწყვეტილია. გამგეობა შეპირდა ხმოსანს, შემდეგ სხდომაზე მაგის შესახებ ცნობებს შეგატყობინებთო. მერე საბჭო შეუდგა მორიგ საქმეების განხილვას. ქალაქის უბნის არქიტექტორს მელიქ-ბეგლიაროვს უთხოვნია გამგეობისათვის: 16 წელიწადია ქალაქს ვემსახურები, დავსნეულდი და ფულით შემწეობა აღმომიჩინეთ, რომ საექიმოდ საზღვარ-გარედ წავიდეო. გამგეობასა და საფინანსო კომისიას მელიქ-ბეგლიაროვისთვის დაუნიშნავს 600 მან. ამ საგნის შესახებ ხმოსანმა ხატისოვმა სთქვა: მინდა შემთხვევით ვისარგებლო და საბჭოს ყურადღება მივაქციო იმ გარემოებას, რომ გამგეობის სამშენებლო განყოფილების მოხელენი სრულიად ვერ აკმაყოფილებენ ქალაქის საჭიროებას. წინააღმდეგი არა ვარ, რომ ავადმყოფი არქიტექტორი საექიმოდ გავგზავნოთ, მაგრამ მინდა შევიტყო, გვყავს ვინმე, რომ იმის დაბრუნებამდე იმის მაგიერობა გასწიოს? იმის დასახასიათებლად, თუ ჩვენი არქიტექტორები ან ტეხნიკოსები რამდენად ჯეროვანად ადევნებენ თვალ-ყურს ქალაქის საქმეებს, ისიცა კმარა დავასახელო, როგორ იკირწყლება, მაგ., გოლოვინის პროსპექტი: რიყის მსხვილი ქვის მაგივრად აყრიან უბრალო მიწას, რის გამოც კარგს დარ'ში საოცარი მტვერია ხოლო ავდარში—უზომო ლაფი. ამაზე მეტი უყურადღებობა და ქალაქის ფულის ფუჭად ხარჯვა არ შეიძლება. საჭიროა გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. პირადად მივიდნენ გუბერნატორსა და პოლიცმეისტერთან და სთხოვონ ისიც, რომ დღისით ნუ იხვეტება ქუჩებიო. ა. ბ. ევანგულოვმა სთქვა, მე თვით მოწამე ვარ პოლიცმეისტრის განკარგულებისა. ამ დღეებში ვერის დაღმართზე მომიხდა გავლა და დავინახე, ქუჩების დამგველებს საშინელი კორიანტელი აეყენებინათ მტვერისა. როცა გამოვკითხე, გავიგე, რომ ეს პოლიცმეისტრის განკარგულება იყო. ხმ. ხუდადოვი დაეთანხმა ხმ. ხატისოვის შენიშვნას და სთქვა: დროა ზომები იქმნას მიღებული, რომ ტეხნიკოსებისა და არქიტექტორების უყურადღებობით ქალაქის ამოდენა ფული ტყუილ-უბრალოდ არ იხარჯებოდესო. გამგეობა დაჰპირდა საბჭოს, ვიღონებთ რასმესაო. არქიტექტორს მელიქ-ბეგლიაროვს საბჭომ, გამგეობის მოხსენების თანახმად, საექიმოდ 600 მან. დაუნიშნა. წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ დანარჩენი დრო საბჭომ მოანდომა გამგეობისა და ნიხრის გამწესებელ კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილების განხილვას საქონლის ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. გამგეობისა და კომისიის აზრით, ნიხრს 1 კაპ. უნდა მოემატოს, რადგან ქალაქში საკლავი საქონელი გაძვირდა. ამ საგნის გამო აღძრულმა კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა. საბჭომ მიიღო გამგეობისა და კომისიის შეერთებულ სხდომის დადგენილება, რომლითაც 1 ხარისხის ხორცი გირვანქა ეღირება 11 კაპ., მეორისა—10 კაპ. და მესამისა—7 კაპ. სუკი 15 კაპ. საბჭომ ნება დართო გამგეობას, ეხლავე წარედგინოს გუბერნატორს დასამტკიცებლად ეს დადგენილება. დასასრულ საბჭომ 35 ხმის უმეტესობით ახალ საყასპოს ამშენებელ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ხმოსანი არ. ს. ბაბოვი.

## რუსეთის ქრონიკა

◆ ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ვ. ი. ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით არსდება განსაკუთრებული კომისია. ამ კომისიას აზრად ექნება, თავიდან აიცილოს ვაჭრობა-მრეწველობას ის დაბრკოლებანი, რომელთაც რუსეთ-იაპონიის ომი იწვევს („ბირ. ვ.“).

◆ გაზ. „ნოვოსტი“-ს დვინსკიდან ატყობინებენ: აქ ძლიერ გახშირდნენ მცირე-წლოვანი ქურდ-ყაჩაღები. ამ დღეებში ოლქის სასამართლომ განიხილა ასეთ მცირე-წლოვანთა ერთი ბრბოს საქმე. ეს ბრბო თავს დაეცა ორს არტილერისტს და რევოლვერების სროლა დაუწყო. ყველაზე უმცროსს, ბარანოვსკის (15 წლისაა) სასამართლომ საპყრობილეში დაპატიმრება გადაუწყვიტა, ხოლო უფროსს ცაკუნოვს (20 წლისაა) 6 წლით კატორგაში გაგზავნა.

◆ 23 თებერვალს ხარკოვის სამოსამართლო პალატას განუხილავს საქმე ტუსაღ ი. სუხორუჩკინისა, მ. კრიკოვისა და ი. სუხოვისა, რომელნიც პასუხის გებაში ყოფილან მიცემულნი ვორონეჟის სატუსაღოში მომხდარ უწესოებაში მონაწილეობის მიღებისა გამო. როგორც საბრალმდებლო ოქმიდანა სჩანს, უწესოებას ისეთი ხასიათი მიუღია, რომ წესიერების აღსადგენად ცხენოსან ჯარის კაცთა რაზმი გამოუწვევიათ. სასამართლოში მოწმეებად მიწვეულნი ყოფილან მხოლოდ სატუსაღოს დარაჯნი და ზედამხედველნი. გამოძიების დროს სატუსაღოს დარაჯებს და ზედამხედველთ ერთ-ხმად უჩვენებიათ, რომ ტუსაღები ღელავდნენ, წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ქვებს გვესროდნენო; გარეშე პირთ და ტუსაღებს-კი სულ სხვა უჩვენებიათ: ტუსაღები წინააღმდეგობას არ უწევდნენ, მხოლოდ ცდილობდნენ, როგორმე თავი დაეფარათ გამძვინვარებულ დარაჯებისა და ზედამხედველებისაგანო. სასამართლოს, კრიუკოვს გარდა, ყველანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ორ-ორის თვით დაპატიმრება („ნოვოსტი“).

◆ როგორც „ადეს. ლისტ.“ იუწყება, 27 თებერვალს ხერსონის გუბერნატორს დეპეშით უცნობებია ელისავეტგრადის ადმინისტრაციისათვის, რომ რუსეთის დეპ. სააგენტოს დეპები ადგილობრივ ადმინისტრაციის ცენზურას არ ექვემდებარებაო. გუბერნატორის ასეთი განკარგულება გამოუწვევია ქალაქის მოურავის მიერ აღძრულ თხოვნას.

## თეატრი

ქართველ მსახიობთა მხანაგობას კეთილი აზრი მოსვლია: ამ დიდ-მარხვაში განიმეოროს „დალატი“ განსაკუთრებით მდაბიო და ხელ-მოკლე ხალხისათვის, რისთვისაც ფასები ძლიერ დაუკლია. წარმოდგენა გაიმართება შაბათს. „დალატში“ მთავარ როლებს შეასრულებენ ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, კ. მათირაშვილი, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვანი.

—

**ქუთაისი** კვირას, 7 მარტს, ქუთათურმა მსახიობებმა სცენის მოყვარეთა დახმარებით იაფ-ფასიანი წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილ იქმნა ყაზბეგის სამ-მოქმედებიანი დრამა „არსენა ყაჩაღი“ და ა. ცაგარლის ორ-მოქმედებიანი კომედია „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“. წარმოდგენამ საზოგადოდ სუსტად ჩაიარა; უფრო ქალები სუსტობდნენ. კარგები იყვნენ მხოლოდ ვ. ბალანჩივაძე—არსენა—და შროშელი, რომელიც ასრულებდა მევახშე სომხის როლს. კომედიაში მონაწილეობას იღებდა ბ-ნი ამაშუკელი, რომელიც პირველად გამოვიდა სცენაზე ანტრეპრენიორის მახოხაშვილის როლში, მაგრამ სცენაზე პირველად გამოსვლა ნაკლებად ეტყობოდა: თავი ძლიერ თამამად ეჭირა სცენაზე, მიხვრა-მოხვრა სრულიად ძალ-დაუტანებელი ჰქონდა, როლიც კარგად იცოდა; მხოლოდ ხმას-კი ხან-და-ხან ძალას ატანდა; საზოგადოდ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე და ბარე ორი „პატენტიანი“ მსახიობიც ჩაჩრდილა. წარმოდგენას იმდენი ხალხი დაესწრო, რომ თეატრი სულ გაჭედილი იყო.

დონ-ვალიანი.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ცნ. ფურცლის“ № 2415-ში დაბეჭდილია ბ-ნ მდივნის შენიშვნა, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობს, ვენახების გაშენების დროს არავითარი ყურადღება არ ყოფილა მიქცეული საძირე ამერიკულ ვაზის ამორჩევაზე სხვა-და-სხვა გვარ მიწის შესაფერადო, რის გამოც ქუთაისის გუბერნიაში, ზოგან, ვენახები გახმა და ეხლაც ხმებაო.

მე ასეთი შემთხვევა არ გამიგია. მაგრამ ამერიკულ ვაზის კულტურა ქუთაისის გუბერნიაში ისე გავრცელდა, რომ მე არ შემიძლია თვალ-ყური ვადევნო ყველა დამყნას. რადგან ბ-ნ მდივნის შენიშვნა დიდათ საყურადღებო საკითხს ეხება, ნებას ვაძლევ ჩემ თავს მივმართო ბ-ნ მდივანს თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით და ვთხოვო მას დაასახელოს ის შემთხვევები, რომელთაც თავის შენიშვნაში გაკვრით იხსენიებს.

მიიღეთ და სხვა

ვ. სტაროსელსკი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**8 მარტი**

**ბრემენი.** გუშინ გიბრალტარიდან მაკოში წავიდა ის გემი, რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია.

**იოჰანესბურგი** („რეიტ. სააგ.“). მუშების სადგომში შავი ჭირი აღმოჩნდა. გარდაიცვალა 27 კაცი. თეთრ კანიანთა შორის ავად არავინ გამხდარა.

**ყაზანი.** მოვიდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტის ძე. დიდი მთავარი ჯერ სობორში იყო, მერე საიუნკრო სასწავლებელში წავიდა.

**ბელგრადი.** რუსეთის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სასახლის შტატიდან დათხოვნილნი იქნებიან, პოპოვიჩის გარდა, ადიუტანტი მილანოვი, იოვანოვიჩი და 3 ორდინარეცი.

**რომი.** პაპმა გამოსცა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ თანამედროვე საზოგადოება გაიხრწნა და ურწმუნოება გავრცელდა; ამისი მიზეზი, სხვათა შორის, თანამედროვე მეცნიერებაც არისო.

**9 მარტი**

**პეტერბურგი.** დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს ლელიანოვს ებძანა ქალაქის მოურავად ეყოფნა ექვსის წლის ვადით.

**ბერლინი.** იმპერატორ ვილჰელმს აზრად აქვს, 16 აპრილს იახტა „გოგენცოლერნ“-ით გენუაში მივიდეს. მონარქის დაბრუნებას ბერლინში 18 აპრილისათვის მოელიან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. | 93,90 |
| ბერლინისაზე 100 მარკაში | 45,87½ |
| პარიზისაზე 100 ფრანკში | 37,37½ |
| ლონდონისაზე ჩეკები | 94,65 |
| ბერლინისაზე „ | 46,30 |
| პარიზისაზე „ | 37,65 |
| ბირჟის დისკონტი | 6-7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 93⅛ გაყ. |
| 4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. | — |
| 4½% შინაგანი სესხი 1903 წ. | — |
| 4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. | 91¼ მყი. |
| 5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. | 360 გაყი. |
| 5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ. | 302½ „ |
| 5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ. | 262¼ „ |
| 5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. | — |
| 4½% ობლ. იმავე საზოგად. | — |
| 5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. | — |
| 5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ. | 87⅝ „ |
| 4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა | — |
| 6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87½ „ |
| ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია | 172 „ |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

**15 ოქტომბრიდან.**

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბაქოს**: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

**ბათუმს**: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 1[0] წ. (8 ს. 8 წ.).

**ერევანსა და ყარსს**: 1) საფოსტო № 74/7[5] ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.).

**ბორჯომს**. სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან**: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევ...) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № ... საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № ... დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

**ბათუმიდან**: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 2... 12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9... 9 ს. 58 წ.).

**ერევან-ყარსიდან**: საფოსტო № 76/77 ... 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ.-სამგზ. № 9... ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**ბორჯომიდან**: სამგზავრო № 8/7 დილის ... 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**ბ ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ**: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ... ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 2... წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ... 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 ... 4 ს. 8 წ.).

**გ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № ... დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

**შორაპნამდე**: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 ... (1 ს. 5 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 ... (1 ს. 18 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ... (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის ... 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს ... ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

**შორაპნამდე**: № 11/12 ნაშუადღევის 3 ... 10 ... (4 ს. 8 წ.).


# განცხადებანი

## ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 ... წოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს ... კურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შინ... და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

## სიბრძნე-სიცრუე

**ახალი გამოცემა**

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კანტორაში...


Дозв. ценз. Тифлисъ 9 марта 1904 ელექტრონის ზუბ. წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.